ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 3 მაისი 2019 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე- გიორგი ივანიაძე;

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი:

1. გიორგი ივანიაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. სალომე ფახურიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი;
3. მიხეილ სვანაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
4. თამარ შენგელია-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
5. თამაზი თავაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
6. ნატო დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
7. ლელა ჩიკვაიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
8. ივანე მამფორია-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
9. მარინა ღვინიანიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
10. ნათია ძოძუაშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
11. გელა ჩიკვაიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

12. თამარ ძნელაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

13. ტარიელ ბარამიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

14. მამუკა ნამიჭეიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ დვალიშვილი, აპოლონ რამიშვილი, გვანცა სიგუა, ნიკოლოზ დვალიშვილი, გონერი მეფარიშვილი, ნანა ლილუაშვილი.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

მოისმინეს:

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გამოწვევების და სამომავლო გეგმების განხილვა;

მომხს:/სალომე ფახურიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვა;

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით- "ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გამოწვევების და სამომავლო გეგმების განხილვა".

აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმი ძირითადი მიმართულები გააცნო, რომელიც მიზნად ისახავს:

1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას;
2. გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავებას;
3. გენდერული ბიუჯეტის ფორმირებას;
4. ქალთა მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების დონეზე;
5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერებას;
6. განათლებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;
7. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას.

საბჭოს წევრებმა ხაზი გაუსვა მოსახლეობასთან შეხვედრების აუცილებლობას, გენდერული კუთხით ცნობიერების ამაღლებას, ამისთვის კი როგორც გენდერული საბჭოს მდივანმა განაცხადა: „აუცილებელია პირველ რიგში საბჭოს წევრების ეტაპობრივი გადამზადება, რათა გახდნენ სერტიფიცირებულები და თავისუფლად შეეძლოთ ჩაატარონ ტრენინგები, ასევე შეხვედრები მოსახლეობასთან, უმჯობესია ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, სადაც ჩაერთვებიან დაინტერესებული აქტიური ქალბატონები, რაც ვფიქრობ გენდერული ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირების თვალსაზრისით სასურველ შედეგს გამოიღებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პუნქტის

მიხედვით გენდერულმა საბჭომ სხვადასხვა პროფესიული უნარების მქონე ქალთა მონაცემების ერთიანი ბაზა უნდა შექმნას მიზანი კი სამომავლოდ მათი დასაქმებისთვის ხელშეწყობაა, რასაც დაეთანხმა საბჭო.

საბჭოზე მთავარ გამოწვევად გენდერულ ჭრილში თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტების, აქტივობების და მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების გაანალიზება დასახელდა, ასევე ხაზი გაესვა საბჭომ მიერ გენდერული თანასწორობის დასაცავად რეკომენდაციების მომზადებას.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გამოწვევების და სამომავლო გეგმების განხილვა;

მოისმინეს

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით-„ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვა“.

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ აღნიშნა, რომ „ვინაიდან მოახლოვებულია 2 ივნისი „ვანელობის“ სახალხო დღესასწაული, მნიშვნელოვანი იქნება გენდერული საბჭოს ჩართულობა თავის მხრივ, შესაბამისად საწყის ეტაპზე მოვიძიოთ ისეთი ქალები, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა ნამუშევრებს: ხელნაკეთ

ნივთებს, ნახატებს და ა.შ. უნდა შეირჩეს შესაბამისი ლოკაცია, სადაც ასეთი პირებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოფინონ თავიანთი ნამუშევრები და გააცნონ თავი საზოგადოებას, რაც ვფიქრობ დადებით შედეგს გამოიღებს მათი წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების კუთხით, აქვე დავძენ, რომ ხელი უნდა შევუწყოთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ქალბატონების პოპულარიზაციას და ფართო საზოგადოებისთვის მათი მიღწევების გაცნობას, ამ მიზნით ეფექტური იქნება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ქალბატონები შევახვედროთ ახალგაზრდებს, სადაც ქალბატონები ახალგაზრდებს გააცნობენ წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან ასპექტებს თავიანთ პროფესიაში, გაუზიარებენ გამოცდილებას, რომ პროფესიის არჩევის დროს გამოიყენოს ის პრიორიტეტები, რაც წარმატების ზოგად ფორმულირებას ახდენს. საბჭომ მოიწონა ინიციატივა და აქტივობის დაგეგმვის პერიოდულობა განსაზღვრა.

ვანელობის დღესასწაულთან დაკავშირებით გენდერული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ მნიშვნელოვანი სიახლე გააცნო გენდერული საბჭოს წევრებს, „დიდი სურვილი გვაქვს 2 ივნისს ვანში მოღვაწე 2 ქალბატონს: ყველაზე უხუცესს და წარმატებულ პედაგოგს ნუნუ ზარნაძეს და ყველაზე უხუცესს გმორჩეულ და დამსახურებულ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელს-დულიკო ძაგნიძეს მივანიჭოთ საპატიო ვანელის წოდება, მოგეხსენებათ საპატიო ვანელის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რომლის შესახებ რამდენიმე დღეში გეცნობებათ“

ასევე მინდა გაცნობოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვაპირებ ინიცირების წესით საკრებულოს წარვუდგინო განკარგულების პროექტი: „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისათვის (საკადასტრო კოდი 31. 01. 30. 144) ნინო ხურციძის სახელის მინიჭებას, პროექტის მიხედვით ვანის საჭადრაკო კლუბს ეწოდება „ნინო ხურციძის სახელობის ვანის საჭადრაკო კლუბი.“ აღსანიშნავია, რომ ნინო ხურციძე წარმატებული ვანელი მოჭადრაკე იყო წარმოშობით სოფ. ძულუხიდან, საჭადრაკო კლუბისათვის მისი სახელის მინიჭება უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სექტემბრის თვეში

იგეგმება ნინო ხურციძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში და აღნიშნული კლუბის გახსნა სწორედ ამ მოვლენას დაუკავშირდება. ამ ეტაპზე დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები, რომელიც პროექტის მიხედვით ორ თვეში დასრულდება, თუმცა ეს პროცესი არ აფერხებს საჭადრაკო კლუბისათვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭებას".

საბჭომ მოწონა აღნისნული ინიციატივა, ხაზი გაუსვა წარმატებული ვანელი ქალების წარმოჩენას და აღნიშნული პრეცედენტის მნიშვნელობას.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვა;

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

03.05.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების

N6 სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		03.05. 2019 წ.
2	გიორგი ივანიაძე		
3	ეთერი ჭიჭინაძე		
4	თამარ შენგელია		
5	თამარ დვალიშვილი		
6	ნიკოლოზ დვალიშვილი		
7	გონერი მეფარიშვილი		
8	მარინა ღვინიანიძე		
9	ნათია ძოძუაშვილი		
10	გელა ჩიკვაიძე		
11	სალომე ფახურიძე		
12	თამარ ძნელაძე		
13	მამუკა ნამიჭეიშვილი		
14	მიხეილ სვანაძე		
15	გვანცა სიგუა		
16	თამაზი თავაძე		
17	ივანე მამფორია		
18	ლელა ჩიკვაიძე		

19	ტარიელ ბარამიძე		
20	ნანა ლილუაშვილი		
21	აპოლონ რამიშვილი		
22	ნატო დვალიშვილი		